

ბარდავიქმნეთ!


ბარდავიქმნეთ,
 ბარდავიქმნეთ,
 იმ ზეუმარიტ
 ქართველეზად,
 ვინც სენააჟი
 წიგნებს წერდა,
 ღამეს თეთრად
 ათენებდა!..
 აკეთებდა,
 ვინც იმ საქმეს
 საქართველოს
 რაც ენებდა!..
 ვინც მამულის
 სიუჟარულით
 არ იცოდა
 დასვენება!..
 ვინც ქართულად
 ემსახურა
 საქართველოს
 აუენებას!..
 ბარდავიქმნეთ,
 ქართველებო,
 იმ ზეუმარიტ
 ქართველებად!

ელდარ კერქევაძე

ექსპრესინფორმაცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთმა დამნაშავე სამხედლო ორგანიზაციაში წარმოება-დაწესებულებებისა და სტრუქტურული ბინების უდანაშაულო ახალმოსახლეები საქმესკლუბატაციოდ გადასცა ნახევრად აუზენაველ უხარისხო ფენობებს!



- ამ მუსიკას რა გასმენინებს?
- რა ვქნა, დედამთილს არ უყვარს!..

ოქს შორეუნი!

ფელეტონი

ბორში, წითელარმიელების ქუნაზე, რამდენიმე წლის წინ ბინა დაუდეს სარაიონთაშორისო ონკოლოგიურ პოლიკლინიკას, ფსიქონევროლოგიურ დისპანსერსა და „საქეანათების“ კანტორას. ქალაქმა მათი სახით საპატიო დაწესებულებები შეიძინა, მაგრამ რაა მათი ყოფა?! — დასაბამიდან წუმპესა და წყლის მორევში არიან გამოკეტილები!.. მომსახურე პერსონალს, აბა, რა გზა უკონდა, რომ არ მიჩვეულიყო ამ მდგომარეობას?! მცხოვრებლებიც მიეჩვივნენ და ენა მუცელში აქვთ ჩაფარნილი, მაგრამ ამ დაწესებულებებში მიმსვლელებს მოვუსმინოთ და თვითონ მივხვდებით, თუ ვისი მისამართით აღაფლენენ „ლოცვა-კურთხევას“;

— მამაცხონებულნი, ხარჯი გაგიწევიათ, დაწესებულებები გაგიხსნიათ, რა გაგიჭირდათ ისეთი, რომ ქუჩა ამ მდგომარეობაში მიატონ-

ვით? ასფალტს ვერ იმეტებთ, ვერ იმეტებთ, რადგან ცენტრიდან მოცილებულია და არ გინდათ დაარღვიოთ მოჩვენებითი ტრადიციები!.. სრეში მაინც ვერ დააყარეთ?!

აღნიშნულ დაწესებულებათა თავკაცები შორს გამიზნულ იდაზე შეჩერდნენ: მორევების დასალაშქრავად ნავების შექმნა გადაწყვიტეს! ჭეშმარიტად კარგი აზრია, ცურვასაც ისწავლიან და, თუ „ცოცხალი“ მოესურვებათ, ისიც ექნებათ, მტკვარი სომ იქვე, ასილდე მეტრს იქით ჩამოუდით! ჭიჭყინების მოშენება სულ იოლი საქმეა!..

ნავის შექმნის ამბავი რომ გაიგეს, დამლაგებლებმა ტაში შემოპკრეს, კაბინეტებიდან ტალახი აღარ გვექნება საზიდიო!

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს საინტერესო ექსპერიმენტი!

თედო ირაბაძე



უსიტყვოდ

არაჩვეულებრივი

შვილი

არაჩვეულებრივი მამის და
არაჩვეულებრივი დედის
არაჩვეულებრივი შვილი
უმაღლეს სასწავლებელში შედის!

რეპეტიტორთა ჯგუფი
ირგვლივ დახვევია ყმაწვილი:
— არაფერი გიჭირს აწი!
— უკვე კაცი ხარო, კაცი!

— გეჯერა, გავვიმართლებ გარჯას!
— ჭერს აუმაღლებო ოჯახს!
— ახლა მეტი რაღა დაგვრჩა?
გამოცდებს ჩავაბარებთ და მორჩა!

არაჩვეულებრივი მამის და
არაჩვეულებრივი დედის
არაჩვეულებრივ შვილს კი
სინარულით ავსებია მეკრდი:

— არაჩვეულებრივი მამის
და არაჩვეულებრივი დედის
შვილი რომ ვარ, ვამაყობ ამით
და ბედსაც აღარაფერს ვყვედრი,

რადგან დამთავრებამდე, მწამს მე,
თქვენც შეყოლებითო გვერდით!

ჭიჭო ჭინჭილიაშვილი

აგზავი საქართველად

ვალდობნი

უსილოვლად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქსანაგრო-მრეწვის საქტექნიკური მუშაკები. შარშან 5919 დარღვევა გამოავლინეს და მათ გამოსასწორებლად ხელმძღვანელებს 2779 წერილი გაუგზავნეს შესრულების ვადის ჩვენებით. ამასთან 853 დამნაშავე პასუხისმგებელ პირს დააკისრეს 52817 მანეთის გადახდა, თავიდან ააცილეს 674,1 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულების ტექნიკის ნაადრევად ჩამოწერა. უამრავი საკითხი მოამზადეს და შეიტანეს განსახილველად სასოფლო-სამეურნეო და სახალხო კონტროლის ორგანოებში, პროკურატურაში...

ბარაქაა მათ საქმიანობას! მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რაიონული ინსპექციების უმეტესობა არ აქცევს სათანადო ყურადღებას მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, საწვავ-საცხები მასალების შენახვისა და სწორად გამოყენების საკითხებს. ვერ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს. ისიც ხდება, რომ შემოწმების ჩატარებისას არ ღებულობენ სათანადო ზომებს ტექნიკისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტების აღსაკვეთად და უმეტეს შემთხვევაში სიტყვიერ-წერილობითი გაფრთხილებით იფარგლებიან.

სხვანაირად რით უნდა ავხსნათ ის ამაზრზენი სურათი, რასაც ვაწყდებით რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში, სადაც სათანადო დონეზე არ დგას მანქანა-ტრაქტორთა პარკების ექსპლუატაციის წესების დაცვა? ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამუშაოდან გამოთავისუფლებული ტექნიკის მოვლა-შენახვის, რემონტისა და ტექნიკური მომსახურების საკითხებს, მანქანა-მოწყობილობის ინვენტარიზაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებას, გვხვდება მართვის მოწყობებისა და სახელმწიფო ნომრების გარეშე ტრაქტორის ექსპლუატაციის ფაქტები.

ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვებდა არ ჩავვითვალონ, დავიმოწმოთ მაგალითები:

დუშეთის რაიონის შუახევის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი **დ. თეთრუაშვილი**, მთავარი ინჟინერი **გ. კოლნიაშვილი**)

სახელმწიფო სტანდარტების დარღვევით ინახებოდა მარცვლისა და სილოსის ამლები კომბაინები, სათესი და სათიბდაქუცმაცებელი მანქანები, კულტივატორები. უგერგილობის მიზეზით აღნიშნულ მეურნეობაში შარშან მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია 5 ტრაქტორს, ხოლო ამავე რაიონის საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს სამანქანო უზოში განკომპლექტებული აღმოჩნდა 67154 მანეთის საბალანსო ღირებულების „უზ-500“-შასიანი ავტომანქ და „ეო-1621“ მარკის ექსკავატორი, რომელთა დაურიცხავი ამორტიზაცია 22540 მანეთს შეადგენს. აღნიშნულ საწარმოში საერთოდ არ აღმოჩნდა მათ ბალანსზე რიცხული „დ-598“ ავტოგრეიდერი და „ქს-2561“ მარკის ავტომანქ.

ტექნიკის მოვლა-შენახვისა და დაცვის საქმეში ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის საშაბურის მერქვეობის საბჭოთა მეურნეობაში, ჩანადირების მეფრინველეობის სამეურნეობათა შორისო საწარმოსა და ბაზალეთის კოლმეურნეობაში, აგრეთვე ზნაურის, ჯავის, ჩხოროწყუს, ასპინძის, დმანისის, ზესტაფონის, წყალტუბოს, წალენჯიხის, ორჯონიკიძის, გვარის, ახმეტისა და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში.

აბა, რით შეიძლება აიხსნას, თუ არა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებითა და მომთხოვნელობის შესუსტებით ის ფაქტი, რომ თელავის, ლავადუნის, ყვარლის, ქარელის, ზაშურისა და სხვა რაიონების მცხოვრებლებს აღმოაჩნდათ კერძო ტრაქტორები, რომლებსაც პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდნენ?

რატომ ხდება ასე? ალბათ იმიტომ, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელები ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს ზოგჯერ ავალდებენ ისეთი სამუშაოების შესრულებას, რომლებიც მათ მოვალეობაში არ შედის. აღნიშნული სამსახურისადმი ხელმძღვანელთა გულგრილი დამოკიდებულებაზე მეგვანიშნებს ისიც, რომ ზოგიერთ დიდ რაიონში მთავრობის დადგენილებითა და საქსანაგრომრეწვის ბრძანებით გათვალისწინებული იყო ტექნიკური დოკუმენტაციის ინსპექტორის მეორე საშტატო ერთეულის შემოღება, რაც დღემდე არ განხორციელებულა და სიძნელეებს ქმნის მუშაობაში.

ჭ. გოგილაშვილი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

პადრეგისათვის

ზოგ ხელმძღვანელს კადრი ისე დანაგვიანებია, თურმე ახლა „წმენდა“ მისი დანაგვიანებია!

ზოგით კურომგინას

დღეს რომ თქვენ აცხობთ, იმ პურში არ ჩანს გარდაქმნის იმპულსი!

წიქა

ამონაწერი

მოყვარულ მძღოლთა რესპუბლიკური ასოციაციის თბილისის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ოქმიდან

იუმორისკა

მთისმინეს: სიფხიზლისათვის მებრძოლი საზოგადოების ადგილობრივი ჯგუფის წევრთა არჩევის შესახებ.

დაადგინეს: არჩეულ იქნენ სიფხიზლისათვის მებრძოლი საზოგადოების ადგილობრივი ჯგუფის წევრებად შემდეგი ამხანაგები: ღვინიაშვილი, ღვინიანიძე, ღვინერია, ღვინაძე, ღვინეფაძე, ღვინჯილია, მეღვინიშვილი, მემარნიშვილი, ჭურაძე, კუპატაძე, ხაჭაპურიძე, ბარკალია, კალმანელიძე.

კრების თავმჯდომარე: არდალიონ მადონათუხუცანი

მდივანი ალუდა არაყიშვილი.

სიზმრების ახსნა

- დათვი ნახო — დირექტორს წაეჩხუბები!
- ყვავილები ნახო — ვალს აიღებ!
- ანონიმური წერილი ნახო — ახლობელს შეხვდები!
- სიღებრი ნახო — ამხანაგურ სასამართლოს გადაცემენ!
- რედაქტორი ნახო — ხელს ჩამოგართმევენ!
- დირექტორის მდივანი ნახო — სამუშაოდან გაგათავი-

სუფლებენ!

- ბაზარი ნახო — აღარ დაგეძინება!
- მეზობლის გოგო ნახო — კარდიოგრამას გადაიღებ!
- პროფილაქტიკა ნახო — შაკიკი იცის!
- მამალი ინდაური ნახო — ხარისხზე იმუშავებ!
- „პრიმა“ ნახო — ხიჭვი შეგერჭობა!

ბებლარ ნოზაძე

საკაბიო ნოღაბა

აპოლონ ყურმილაურმა ფეხდაფეხ სდია მტერს ბერლინამდე. იბრძოლა ბრესტში, გარღვია ლენინგრადის ბლოკადა, იყო აღმოსავლეთ პრუსიაში, ბელორუსიასა და პოლონეთში...

ომიდან ინვალიდი დაბრუნდა და ორმოცი წელი ფეხდაფეხ სდია კავშირგაბმულობის მესვეურებს, ფეხით მოიარა ამ დარგის ყველა ინსტანცია და აქაც დიდი ბრძოლები გადაიტანა, მაგრამ ლენინგრადის ბლოკადაგამოვლილმა ბლოკზედაც კი ვერ დაიდა ტელეფონი! ბოლოს განმრთელობამ უმტყუნა, ფრონტულ ტივილებს ტელეფონის გამო ნერვულობაც დაემატა და გარდაიცვალა (ტელეფონი რომ ჰქონოდა და ხახწრაფოში დაერეკათ, შეიძლებოდა დღესაც ცოცხალი ყოფილიყო!).

კავშირგაბმულობის მუშაკებმა ღირსეულად შეაფასეს ამხანაგი ყურმილაურის უდიდესი საბრძოლო ნებისყოფა და მას სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს საკაბიო აბონენტის წოდება, თან მის შვილიშვილებს ტელეფონიც დაუდგეს!

აპოლონ ყურმილაურის მაგალითი მისაბაძია ყველასათვის, ვისაც სურვილი აქვს ბინაში რიგის მიხედვით დაიდგას ტელეფონი?!

ვანო ცინცაძე

ნახ. ლ. ზამბახიძისა



— ეჰ, აღრე მეც ყვავილებით ველოდებოდი!



— ახლა არ მოხბობა, ამ ბავშვს საამქროს ოსტატად ვწვდილით!

ვეეტერინი გვეშეიყრება!!


ფელეტონი

ზამსებლებს ამ ბოლო დროს ელექტრონი გვემღერება: თუ ჩავიქრა, დასტაქრი ნაწარსთან გვეტოლებს, ნარევევის წაპირთან ვვს. ქველად მისაკერული — ისევე მართარებლურება უნარებელი!!

დამდამობით ხალხის ბრეტი აიპა თვალთან ვეღარ მივვაცქვს. ფეხი, სწორად გადადებული, ვეღარ აგებს გზას და მიწანს. გადახორბილი ორმოცე შიშით ვეღარ გავვავლით, სინდელში სტუმრისათვის ვიწყოთ ვერ გავვილით. თუ ნიავეს დაუბერა, ელდით გული გვეუკუშობა, ჩვენს ნათურებს მამნიანვე თვალ-წამში ეხტეებათ. ელექტრონის ბოძებს თავი მტრედებოვით უქანებოვით, ქავრის მოგველა, რა გაუძლებს სუბსარქების ობერ


კარებს?! ამ საწულებს რომ დღეს დღე ადგათ, ისე თქვენი მტრისს თვის, — პირზე ხელი გვიფარია. — უნდა არ დავაღვიწიოთ. ანკოლზე შეყენებულს ქარი არჩებს წინ და უკან სადუნითი შეწონივულს თავი ბურჭელა ქალს მიუვასს. „მ თ ა ვ ა რ ე ნ რ გ ი მ ი“ თოვლის დავაყენო გრივალ-ქარი, რაც ქალბებმა ცრემლი დვარეს, დადებოდა ნიაღვარი. ელექტრონის სააკვითო ლამბას ვეძებთ ნავითანსა. ცოდვა იმას, ვინც გვაქვლებს სუნიანს, მეჭვარტლიანსა

მ. ბ რ ა ვ ს ი ლ ი



ნა. ზ. ახთიანის


ნა. ზ. კუთხისი



— გაბყვით, ეს ისეთია, ქვას ხეობავს!



ბ. ო. კ. ს. პარღია



რევან ნაყარაძე • საცირკლო-ნიმუში

სულ სხვადასხვა საზომით

ჩვენ ორივე ამ ერთი მატარებლის მგზავრი ვართ, ოღონდ შენ დაიბადე უკეთესი პატრონით, ამიტომაც ადგილი შენი თითქმის თავშია, მე კი უკან მოგდევ ამ ბოლოსწინა ვაგონით!.. ჩვენ ორივე ამ ერთი მატარებლის მგზავრი ვართ, ოღონდ შენ დაიბადე უკეთესი პატრონით, ამიტომაც ვერ ვწვდებით ერთმანეთის ხასიათს და ცხოვრებას ვუცქერით სულ სხვადასხვა საზომით!..

ერთხელ ორ სტუმარს მოუხდა დავა

ერთხელ ორ სტუმარს მოუხდა დავა, მოდგნენ ერთმანეთს, ლანძღეს და თათხეს, იყო კბილების ღრჭიალი ავად, ძლივს ვაკაუბდნი ორივეს სკამზე!.. ბოლოს ვთქვი, რის თქმაც თავში არ მსურდა, რასაც ამ წუთას ვავიძეორებ: ერთ სტუმარს თურმე მეორე სძულდა, მასპინძელს კიდეც — ერთიც, — მეორეც!..

ერთ ამხანაგსა და თანამოკალეს

დამნაშავე ვართ უკლებლივ ყველა, ნულარ მოვიხმობთ შველად თარიღებს! ისეთი კაცის, რა ვქნა, არ მჯერა, პასუხისგებას თავს ვინც არიდებს! მე არ ვიჩემებ, რომ ვარ წმინდანი, ნურც შენ ნუ მეტყვი, რომ არ ცოდვილობ! სხვა რომ ქურდობდა და თვალს ვხუჭავდით, ეგვც ქურდობა იყო, ძმობილო!..



სანმოკლე სიუჟარული დასასრული

ეს სიუჟეტი მრავალს ეცნობა, მე შევურჩიე ოღონდ ის სახე, — წუნელ საღამოს იქ, რესტორანში, ერთ სტუმარ ქალთან რომ დავინახე, — დარდიმანდულად ხარჯავდა ფულს და ორკესტრი მხოლოდ იმისთვის ჟღერდა!.. ქალიც კეკლუცად ეკვროდა მკერდზე და მელოტ თავზე თმებს უსწორებდა!.. დილაა ახლა. ტაქსის ლოდინში კაცი მოწყენით დასცქერის გაზეთს. ტკბილი დღეები, ჩანს, რომ შორს დარჩა, რომ არ მიხვალ და იკითხავ ასე: „რაა შედეგი? როგორ დამთავრდა?“ — როგორც გაცდენილ ფეხბურთის მატჩზე! დილაა ახლა. ტაქსის ლოდინში კაცი მოწყენით დასცქერის გაზეთს.

ახალი ბინა მუხიანში

ის კაცი მანახა, ამ სახლის ამგები, მომწყინდა ამდენი ზურგსუკან ლანძღვები! ან ვინც რომ მიიღო, „ფორიადზე“ ჩათვალა ასეთი კედლები, როგორც ზღვის ტალღები!.. რომ არ გაგივლვოს აზრად, არ იქნება, ამის შემხედვარეს გული არ გაგიძლებს: როგორ პატივშია ზოგი გაიძვერა!.. რა შეცდომით მოსტრეს მკლავი არსაკიძეს!..



ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

* * *

წერს სამიანზე ისიც ჩემსავით, ოღონდაც მეტი გამოცდილია!.. მე დამიწუნოს, ეგ არაფერი, — ლექსებს უწუნებს ვაჟს, ილიას!..

მე მინახავს პირადად ნაპოლეონი

მე მინახავს პირადად ნაპოლეონი (ოღონდ ღურწკაია და არა ის, პირველი), ერთი უბრალო დალაქი სელობით, მაგრამ თან რამხელა სახელის მზიდველი! კარგია მერე? ჩახედავ სარკეს და აგეშლება ფიქრები შავი: „ოხ, ნაპოლეონ! რა გითხრა მე შენ, რა უღამაზოდ გამკრიჭე თავი!“ სანამდე შვილებს შევურჩევთ სახელს, ჯერ გავიზროთ, ამას რა მოსდევს! რამდენი დიდი კაცის სახელი საანეკდოტოდ ვაქციეთ ზოგჯერ!



შესხედრა ფიროსმანთან

იქ, სადაც ფერდობს მიმოფანტვია სახელოსნოთა მთელი კრებული, მე დავინახე სმელ-სმელი კაცი, რაღაცას თვლიდა ჩაფიქრებული. მე ვბრუნდებოდი წვეულებიდან ვიყავი ოდნავ, ოდნავ ნასვამი!.. ამიტომ ახლა მთლად ვერ ვიჩემებ, იყო თუ არა ის ფიროსმანი!.. ის სახე თუმცა ბუნდოვნად მახსოვს, ყურებში ახლაც მიდგას ნათქვამი: „ღმერთო, რამდენი სახელოსნოა?! — ნუთუ ამდენი ჩვენ გვყავს მხატვარი?“

პაპიანი მეოცე საუკუნის მიწურულს

საღეჭ რეზინს ბუშტივით ბერავს მანდილოსანი, მამაკაცი ილიმის და თან სახეს არიდებს!.. ნუთუ ასეთ შესხედრებს უმღერდა ის მგოსანი, ის ნათელსნივოსანი ვალაკტიონ ტაბიძე?!

სესხი არ არის ქომობა!

სესხი არ არის ძმობა, ვალს ბევრი წყენა მოსდევს, ოღონდაც ფულს ნუ მთხოვ და, გულს ამოვიღებ, მოგცემ!.. სამი წელია ვეძებ ერთ ჩემს ბავშვობის ძმაკაცს, ფულის სესხების შემდეგ რომ დამეკარგა სადღაც!..



უსიტყვოდ

გაყვავდა ჩიუბჭლი სტუმარმა სწიშლი

ფელეტონი

სტუმარი ღვთისააო! — ამბობდა ქართველი კაცი ოდიშთან და ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, ქვეყნიერების რომელი კუთხიდანაც უნდა ჩამობრძანებულიყო, სიყვარულით, მოწიწების დიდი გრძნობით უღებდა გულის კარს, სახლის დარბაზებს, სულშიც იძვრებდა, ვითარცა მოყვასს, მისთვის იმეტებდა, თუ რამ კარგი, ძვირფასი ჰქონდა, და თვითონაც მაღლდებოდა სხვათა თვალში, ლაღობდა, ღვინობდა!.. შორსაც გაუვარდა სტუმართმოყვარის სახელი!..

როგორც ჩანს, გამონაკლისი არც ყაზახეთის ქალაქი ბალხაში იყო, მაგრამ აქაური ანდრეი გრიგოლის ძე კომი მაინც არ ენდო ხმებს, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნახვა სჯობიაო, და — ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვიდა თბილისში, გულდასმით მოსინჯა ნიადაგი განსხვავებული სტუმრისათვის.

— ოჰო, აქ ანაშის გასაღების კარგი პირობები ყოფილა! — დაასკვნა თანამზრახველების, ხელისშემწყობების შეუფერხებლად პოვნით აღტაცებულმა და სასწრაფოდ გაფრინდა უკან — აქაოდა, რკინა მაშინ იჭედება, როცა ცხელიაო! ამა წლის 28 იანვარს კი დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებით დატვირთული კვლავ ეწვია თბილისს, ბინა ვლდანის რაიონში დაიდო. უხვად გაცემდა ანაშას. თეთრი სიკვდილით სურჯინგატენილი სტუმრის

პირველი მასპინძელი ვახდა ვლდანის დასახლების მეორე მიკრორაიონის მცხოვრები უსაქმური ნოდარ ილიას ძე ელოშვილი. მას 130 გრამი ანაშა ჩამოერთვა!.. მალე შხამიანი მცენარის ტოტმა ქალაქის მეორე ბოლოსკამა სახურდიას ქუჩას მიადგია, აქაურ ერთ ახალგაზრდას 180 გრამის შეძენა მოესწრო!..

ვლდანის რაიონის მილიციის განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო და საგამომძიებლო ქვეგანყოფილების ნარკომანიასთან მებრძოლი ჯგუფის წევრების სიმარჯვე რომ არა, ვინ იცის, რამდენს ვააბამდა თავის შხამიან ქსელში ფულს დახარბებული ობობა. ადამიანის ჯანმრთელობის ვერაგი მტრის მოციქული სწორედ მაშინ დააკავეს, როცა მორიგ მსხვერპლწამოგებულ ანკეს თავისკენ ექაჩებოდა. ყოველივე ამასთან ერთად კომი ცინიკოსიც აღმოჩნდა. როცა ჰკითხეს, მაინცდამაინც თბილისში რატომ ჩამოიტანე ამდენი ანაშაო, უპასუხა: — აქაური ახალგაზრდების საკმაო ნაწილს პასიურობა, ინდიფერენტიზმი, მოდუნება შეეზიშნე და „სტიმულატორი“ სომ სჭირდებოდათო?!

გადაგვარების მთესველს თან აღმოაჩნდა „საიდუმლო სერობის“ საკმაოდ ვრცელი გეგმა. მასში გარკვეული ხელთ ლამაზად იყო ჩაწიქიქებული მგზავრობის, დამის გათვევის, მოლხენის, დროსტარების, ქალაქში გასეირნების ხარჯებიც და ყოველივე ამის შემდეგ სუფთა მოგება უნდა დარჩენოდა თხუთმეტი ათასი მანეთი.

დიდი მათემატიკური ნიჭი სულაც არ არის საჭირო იმის წარმოსადგენად, თუ რამდენ ახალგაზრდას მოუხამავდა სიცოცხლეს, გადაუბრუნებდა ტვინს, დაუძაბუნებდა კუნთებს ამდენი ფულის ნარკოტიკული ნივთიერება!..

— მე — ფული, სხვას — შხამი! — ეს იყო კომის დევიზი.

ბუნებრივად იბადება კითხვა: მას, როგორც სიკვდილის მთესველს, კანონიერი სასჯელი არ ასცდებია, მაგრამ რა ეშველებათ იმათ, ვისაც სტუმართმოყვარეობის გრძნობა მტერთმოყვარეობად გადაქცევიათ?

„ნიანგი“ კიდევ და კიდევ გაფრთხილებთ: — **ახალგაზრდაბო, მოუხამეთ გონებას! ნუ წამოვავებით შხამის, გადაგვარების, დაქაბუნების მთხველთა ანაშას! თქვენი დაუკლურება სომ არის დაქაბუნებასაც ნიშნავს!** იყავით ფსიქოლოგ!

შოთა ლომიასი



შეკაცებო, შეხარობა?

ელაზია

ეს წერილი ერთმა, ერთი შეხედვით უბრალო, ამბავმა დამაწე-
რინა: შინ ავტობუსით ვბრუნდებოდი. ავტომოსაცდელიდან ჩემს
სახლამდე დაახლოებით ასი მეტრი იქნება, არც ამდენი, მაგრამ
ტვირთს სახლში მიტანა ხომ უნდა?! ძალიან მძიმე არ იყო ჩემი
ხელბარგი, მეც მოვერეოდი, მაგრამ სამ ჩანთაში იყო ჩალაგებული,
ხელი კი ორი გვაქვს, ცხადია.

— რა ვქნა, რომ ვფიქრობ, ამასობაში ავტობუსიდან ჩემმა ახლო
მეგობრებმა გადმოაბიჯა, მგელივით ვაუკაცმა, ჭირსა და ლხინში რომ
ერთად ვართ! ზრდილობიანად მომესალმა, მაგრამ ჩემი ჩანთები რომ
დაინახა, სხვა საგანზე გადაიტანა მზერა. ვიღაცა ნაცნობს საუბარი
გაუბა ამინდსა და სხვა საინტერესო ამბებზე.

ფიქრობ: ამ დიდ ჩანთას ხომ მიმიტანს ჭიშკართან, სხვას არ
დავანებებ-მეთქი. არ მიუვარს ადამიანის შეწუხება, ძალიან შორი-
ლებული ვარ. რა ვუყოთ, რომ ქალი ვარ და არც ახალგაზრდა!..
სხვისი იმედით კი არ შემოძენია ეს ხორაგი?! ვაცლი საუბარს
თავისით მიხვდება, ჩემი შეხსენება რად უნდა?!

თქვენც არ მომიკვდეთ! მიუჯდა გვერდით ნაცნობს და ახლა
სხვა თემაზე განაგრძო ვითომ მეტად მნიშვნელოვანი სჭა-ბაასი. მეც
განზრახ ვაგვიანებ, არაფერს ვეუბნები, თან ჩანთებს აქეთ-იქით
ადგილს ვუსვლი...



არ შეგვამოთ ჭირმა, არ იხედება ჩემკენ, თითქოს არც ვარსებო-
დე! არც მაშინ მომაქცია ყურადღება, ერთმანეთზე რომ გადავაბი-
ორი ჩანთა და ხურჭინივით გადავიკიდე (ქალებმა შეგუბანვეთ
ხელი და შეთქმულივით გამომიმგეს). მესამე ჩანთა ხელში დავიბარე
და ტაბათი შევუდექი აღმართს. თან ვფიქრობ: თუ დაწვევას და
ახლა მაინც ჩამომართმევს-მეთქი ტვირთს?!

გავიგონია? შინ რომ შევედი, მერე მოკვარი თვალი შინისკენ
გაჩქარებით მიმავალს, ჩემს ჭიშკარს როცა ჩაუქროლა, აღმათ და-
კარგულ დროს ინაწლაურებდა!

ნუ დაგვაფიქვდება, რომ მოზრდილ ადამიანს, რა პროფესიისაც
უნდა იყოს ის, — მასწავლებელი, მოძღვარი, — დამრიგებელია
მოზარდისა, — ქალის პატივისცემა ყველას მოეთხოვება! ნებით თუ
უნებლიეთ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „შედრეკილ-შეშინე-
ბული“ მამაკაცი ქალმა როგორ უნდა შეიყვაროს? ქალი შეიძლება
გაბრიყვდეს და მისიხვდეს ასეთ მამაკაცს, თავისი ღირსებაც
დაიცვას და უერთგულოს კიდევ, მაგრამ გწამდეთ, შეყვარებით
მხოლოდ ვაქაცს შეიყვარებს!

ნინო ოსაზაიშვილი.

პედაგოგი, ურუნალიტი, დიასახლისი.
(ჩოხატაურის რაიონი)



— არიქა, წყალი მოვიდა!
— როგორ გამოეპარათ?!

ნ. ჯ. ლოლუასი

აღაპოტოტოტი
(პოლონეთი)

გაგაგანი

იუმორისკა

ზანტად გაიზმორა, დაა-
მთქნარა და საათს დახედა. რვას
თხუთმეტი წუთი აკლდა. რვაზე
სამუშაოზე უნდა იყოს. თუნდაც
არ ისაუზმოს და ტაქსითაც წავი-
დეს, მაინც ვეღარ მიუსწრებს!
რა ქნას? — ისედაც უკვირი
საყვედური აქვს!.. დღესაც რომ
დაიგვიანოს, აუცილებლად მოხს-
ნიან!..

უცებ მუბღმი ხელი იტყიცა! —
იღვა დაებადა!
დინჯად გაიპარსა, პირი დაი-
ბანა, ისაუზმა, პალატუნიც აუჩა-
რებლად გაიკეთა ლამაზად და
კონტად. გამოვიდა სასლიდან და
რამდენიმე წუთში მიაღწა კარს,
რომელზედაც ეწერა:

**იან ზოგაძე
კბილის ვეიში
მიღების საათი**

15-დან 18-მდე

კარი ნამძინარევა ქალმა გაა-
ლო.

— მე ექიმთან... — უთხრა მომ-
სვლელმა.

— ვიცი, ვიცი! ახლა მიღება არ
არის!

— გთხოვთ, აუხსნათ, რომ ეს
უბედური შემთხვევაა!

პატარა დივანზე ჩამოჯდა და
შეუბნო ამოისუნთქა.

კაბინეტის კარი გაიღო და
ექიმმა მიიწვია:

— შემობრძანდით!

კბილის სამკურნალო სავარძელ-
ზე დაჯდა.

— ექიმო, აი, ეს წინა კბილი...
გთხოვთ, ახლავე ამომიღოთ!

— მაგრამ ეს ხომ სრულიად
სალი კბილია?

— საშინლად მტკივა, ექიმო!

— ჰმ! რენტგენზე უნდა გაშუქ-
დეს!..

— არა, არა, ექიმო, უცებ ამო-
მიღეთ, უნებოსოდ!

ექიმმა თავი გაიქნია და მამა
აიღო.

— მორჩა! გაწამებული და
ოფლში გაღვრილი გამცდენი სის-
ხლით მოსვრილი ტუნებით ბედ-
ნიერად იღიმებოდა. ახლა უფ-
როსები შარს ვეღარ მოსდებენ!..

— ექიმო, თუ შეიძლება, მომე-
ციო ცნობა, რომ მე დღეს თქვენ-
თან კბილი ამოვიღე! გვადლობთ!
რამდენი უნდა გადავიხადოთ?

— სამასი ზლოტი!

— სამასი? მაგრამ მე ხომ ვიცი,
რომ კბილის ამოღება ასი ზლო-
ტი ღირს, თანაც უნებოსოდ?!

— რასაც ბრძანებთ, სრული
ჭეშმარიტებაა, ჩემო ძვირფასო, მა-
გრამ დღეს ხომ კვირაა, ასე
ვოქვათ, დასვენების დღე?!

თარგმან
ზოტა ამირანაშვილმა



ზოგიერთ საავადმყოფოში

— კი მაგრამ, ასე დედიშობილა რომ გამოცხად-
დი, ფული სად გიდეგს?!

ბალადა ნალიქორალისა და მისი ნანაიზარისა

კვერცხშივე მალა აცოცების ტრფიალი ვანლდათ
და რაიონის მართვეების თავმართვე ვანდა! —
პირველად მაშინ დაემონა გატენილ ქისას!
რა გზით? — მდიდარ ყვავს დაუწყველდა, ბუბიის ხნისას!
რა ექნა ბეჩავს, ქრთამს ჯერსანად არვიან აძლევდა
და ხომ უნდოდა ნაირ-ნაირ „მიჯნებს დაძლევა“?
გავიდა ხანი და გავიცდა ცაც და მიწაცა:
კარიერისტი იმ მავანმა გაადიდაცა!
დიას, იერით ვითომ სათნომ, სულით იაგომ,
სულ რომ ეძებდა ქერის ორმოს, მართლა მიაგნო! —
დიდქორი რბილ და თბილ სავარძელს მჭიდროდ მოერგო
და ღრმა ორმოდან მეტი ქერი რომ ამოელო, —
სპეტაკებს ყელში წაუჭირა კაპრონის თასმა
და მათ სკამებზე სარფის უხვად გამღებნი დასხა!
გვერდით ნაიბად იმნაირი ქლესა მოისვა,
ნატურის ხემ მისმა ამ ნაბიჯით სიზმრის მოისხა!..
მთელ დარგში ისე უსაშველოდ ამღვრა წყალი,
დაწმენდას მისას დასჭირდება წელი მრავალი!..
მაგრამ მოლაყების ენას მიტომ არა აქვს ძვალი, —
ვიდრე გაუვა, აუხვიოს ქვეყანას თვალი!
უფროსი ურცხვად ჭეჭდა ყველგან არტისტის ნიჭით, —
გარჯაში თითქოს არ ჰქონოდეგს ნამცეცი ხინჯი!
არამცთუ ცხადლივ, სიცრუეზე ფიქრობდა ძილშიც
და აიყვავა მკერდი ყალბი მრავალი ნუნშიო!..
ცრუ დიდქორს ახლა სავარძელი მოუწდა სულ სხვა,
მაგრამ უბადრუკს არნახულმა მოუსწრო სუსხმა!..
და გული მისი ხომ დაკოდეს დარდის ისრებმა,
ნანაიზარსაც ჩამოართვეს ყველა ღირსება!
ორი გარეწრის წამსდარ საქმეს ვერავინ დათვლის
და ის სასჯელი, რაც იწვნის, ცოტაა მათთვის!
ამბობენ კიდევ: ასე უთქვამთ ორთავ ჩერჩეტსო,
ბედს არ დაეწყველით, ოღონდ რაც გვაქვს, იგი შეგვჩრეტსო!
ამიტომ ითხოვს ერთმნად ყველა კრისტალთაგანი:
— არც ერთ ოინაზს არ ასცილდეს ბნელი საკანი!

ქიჰვარდ ისააკაძე



საბჭოთავალი და იუმორის
ქურნალი „ნინაზი“ №10
(1740). მისი. გამოსაღის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგოზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიევილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნომადი
ბართია, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მა-
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამსო-
ნია, ბეჟან სიხარულიძე,
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი
ჭუხიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გალაგა ასაწყობად
22.04. 87 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდოდ 12.05.
87 წ. ქალაღის ზომა
60x90¹/₄, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5, საღ-
რი ცხევი-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს კ-
ცის გამომცემლობა, ლე-
ნიის 14. შეკვ. 10.75.
უე 04867. ტირაჟი 144.000.
ქურნალი გამოსაღის თვეში
ორჯერ. რედაქციის შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაუკების — 99-02-38,
მდივან-მგმან ქანის —
99-76-69.

სატირიკო - იუმორისტичე-
სკიი ჟურნალ «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издатель-
ство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76937





КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ